



ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი -  
„პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი №5 - 2020 წელი

# თვითმმართველობა

## ინფორმაციკებში

ამიზადებულია ლანცესტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის  
აროგრამული პილატის პროექტის მიხედვით



2020 წლის ბიუჯეტის სრული  
ვერსია იხილეთ ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე  
[www.lanchkhuti.gov.ge](http://www.lanchkhuti.gov.ge)



### პროგრამა 04.01

#### სპოლაედელი დაცვებულებების ფუნქციონირება

პროგრამის ბიუჯეტი:  
2 500 000 ლარი

### პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის პირველი)

## განათლება

პრიორიტეტის ბიუჯეტი  
2 518 000 ლარი



### პროგრამა 04.03

#### განათლების ხელშეცყობა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:  
200 000 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება;

საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ლონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადლესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბალის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1250-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბალებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:

ბაგა-ბალებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;

ბაგა-ბალებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, ბაგა-ბალებში მატერიალურ ტექნიკური პაზის გაუმჯობესება, ბაგა-ბალებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; პროგრამის აღწერა და მიზანი ბაგა-ბალებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.



# პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე)

## კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი

პრიორიტეტის ბიუჯეტი  
2 307 200 ლარი




ქვეპროგრამა 05.01.01  
(პროგრამული კლასიფიკაციის მე-3 დონე)  
საორგული დაცესაგულებების  
ხელშეყოყა  
პროგრამის ბიუჯეტი:  
1 043 000 ლარი



ქვეპროგრამა 05.01.01.01  
საორგული ცენტრის ხელშეყოყა  
პროგრამის ბიუჯეტი:  
513 000 ლარი



ქვეპროგრამა 05.01.01.03  
სტადიონის ფუნდირებისა  
პროგრამის ბიუჯეტი:  
160 000 ლარი



ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩეუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის „ლანჩეუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩეუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის ზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ლანჩეუთის მინიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური  
ბიუჯეტი - 160,0 ათასი ლარი.



პროგრამა 05.01  
(პროგრამული კლასიფიკაციის მე-2 დონე)  
სპორტის სფეროს განვითარება  
პროგრამის ბიუჯეტი:  
1 063 000 ლარი

სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩიგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჭადრაკი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 350 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 71 ადმიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და 12 ადმინისტრაციული პერსონალი და 29 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ ლანჩეუთის მინიციპალიტეტის სპორტული ცენტრი  
ბიუჯეტი - 513,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა 05.01.04  
ჩალთა საორგის განვითარება  
პროგრამის ბიუჯეტი:  
130 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩეუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩეუთის ლანჩეუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის „ლანჩეუთის ლანჩეუთი“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.

პროგრამის მიზანია ქალთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ლანჩეუთის მინიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური  
ბიუჯეტი - 130,0 ათასი ლარი.



National Endowment  
for Democracy  
Supporting freedom around the world

ჩანართი მომზადდა პროექტ „აქტიური მოქალაქეები რეალური თვითმმართველობისათვის“  
ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy)  
NED-ის მიერ.

